განიხილება ჩინეთთან თანამშრომლობა სასათბურე მეურნეობებთან და ბოსტნეულის მოყვანის ტექნოლოგიებთან დაკავშირებით

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით დღეს მინისტრმა შალვა ფიფიამ შეხვედრა გამართა ჩინეთის ელჩთან იუე ბინთან. შეხვედრაზე განიხილეს თანამშრომლობის პერსპექტივები სასათბურე მეურნეობების და ბოსტნეულის მოყვანის ტექნოლოგიების სფეროებში. ამასთან, ელჩმა აღნიშნა, რომ ჩინეთი გააგრძელებს საქართველოსთვის საირიგაციო და სადრენაჟო მძიმე ტექნიკის მიწოდებას. შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და ჩინეთს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, რომლის თანახმად საქართველო მიიღებს ჩინეთისგან გრანტს 4,9 მილიონ აშშ დოლარს. 2005 წლიდან ჩინეთის მთავრობამ გამოყო საქართველოსთვის გრანტი 36,3 მილიონი აშშ დოლარი და 20 წლიანი უპროცენტო კრედიტი 4,7 მილიონი აშშ დოლარის საქონლის სანაცვლოდ. ამ რესურსების ათვისება ჯერ კიდევ გრძელდება (მოიცავს შესაბამისი ტექნიკისა და ინსტრუმენტების მიწოდებას სარწყავი სისტემების და სასათბურე მეურნეობებისთვის).

Daily News, 18 დეკემბერი, 2013

დარგის წარმომადგენლებმა ღვინის ტურიზმის განვითარების საკითხები განიხილეს

USAID-ის ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის (EPI), ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ძალისხმევით ღვინის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა. ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის ხელმძღვანელმა ნიკა ჩაჩხიანმა „სარკესთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ შეხვედრაზე დარგში მიმდინარე და მომავალი პროცესების განხილვა მოხდა სხვადასხვა საქმიანობის კოორდინირების მიზნით. ჩაჩხიანმა განაცხადა, რომ ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა აპირებს პრომო ვიდეოს შექმნას ღვინის ტურიზმის თემაზე, ამზადებს ღვინის კატალოგს მომავალი წლის კონფერენციისთვის და ა.შ. გარდა ამისა, იგეგმება რუსეთიდან ტურიზმის ოპერატორების და ჟურნალისტების ჩამოყვანა ქართული ღვინის რეკლამის მიზნით. „ძირითადი პრობლემა რუსეთის ბაზარი არ არის, ის უკვე ღიაა, მაგრამ პრობლემაა ქართული ღვინის სხვა ქვეყნების ბაზარზე მოხვედრა“, აღნიშნა ჩაჩხიანმა და დასძინა, რომ ღვინის ექსპორტი უნდა გაიზარდოს, რათა ქართული ღვინო გაიცნოს უცხოელმა მომხმარებელმა, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ტურისტების რაოდენობის ზრდას საქართველოში. შეგახსენებთ, რომ საქართველოდან წელს ექსპორტზე გავიდა 44,65 მლნ ბოთლი ღვინო 48 ქვეყანაში, აქედან 48,8% (21,78 მლნ ბოთლი) - რუსეთის ბაზარზე.

Daily News, 17 დეკემბერი, 2013

EPRC: მკვეთრი ცვლილებები სოფლის მეურნეობაში უახლოეს მომავალში არ არის მოსალოდნელი

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) განცხადებით სოფლად ჭარბი მუშახელის და მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაციის გათვალისწინებით, უახლოეს მომავალში მკვეთრი ცვლილებები სოფლის მეურნეობაში მოსალოდნელი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს ინტერესი ამ სფეროს მიმართ, საქართველოს სოფლის მეურნეობა დარჩება გარკვეულწილად სოციალური პოლიტიკის სფეროდ უახლოეს მომავალში, აღნიშნავენ ექსპერტები. EPRC-ს რეკომენდაციით, ხელისუფლებამ მიზნად უნდა დაისახოს ისეთი გარემოს სწრაფი შექმნა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს ინოვაციების და ინვესტიციების მოზიდვას, უნდა გაიზარდოს კერძო სექტორის ინტერესი და კონკურენტუნარიანობა. შეგახსენებთ, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 263,5 მლნ ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 9,3%-ით აღემატება.

Daily News, 17 დეკემბერი, 2013

მეცხვარეებმა განიხილეს დარგის პრობლემები ხელისუფლების წარმომადგენელებთან

მეცხვარეთა ასოციაციის ორგანიზებით დღეს თბილისში კონფერენცია გაიმართა. შეიკრიბა 30 მეცხვარემდე კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებიდან. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით კონფერენციის მონაწილეებმა გამოხატეს მზადყოფნა იმუშაონ დარგის განვითარებაზე მთავრობასთან ერთად. მეცხვარეებმა ისაუბრეს საძოვრებზე მაღალ საიჯარო გადასახადზე, განიხილეს ფერმების ინფრასტრუქტურა, ცხვრის ბაზრების, გავრცელებული დაავადებების, სადაზღვევო სისტემის ნაკლოვანების საკითხებზე და ა.შ. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილის თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია დაფინანსება სელექციური მეცხოველეობის ფერმების (მათ შორის, ცხვრის) მოსაწყობად.

Daily News, 17 დეკემბერი, 2013

მომავალ წელს შეღავათიანი აგროსესხების პროგრამა დააფინანსებს ვენახებს და მრავალწლიანი მცენარეების მეურნეობებს

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილმა განაცხადა „სარკესთან“, რომ ვენახების და მრავალწლიანი მცენარეების მეურნეობების დაფინანსების პროგრამა დაიწყება მომავალ წელს. საქმე ეხება შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის ახალ კომპონენტს, განაცხადა მან. დავითაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფო დაეხმარება მევენახეებს იშვიათი სახეობების აღდგენაში, მაგრამ თანხის დასახელებისგან თავი შეიკავა. უნდა აღინიშნოს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 900 000 ლარი მევენახეობის განვითარებისთვის, 250 000 ლარი - უნიკალური და იშვიათი ყურძნის სახეობების აღსადგენად, ხოლო შეღავათიანი აგროსესხების პროგრამისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს 68,8 მილიონი ლარი.

Daily News, 17 დეკემბერი, 2013

სოფლის მეურნეობა: წლიური მიმოხილვა

2013 წლის გამოწვევებს თუ გავიხსენებთ, აცხადებს მთავრობა, მთავარი ამოცანა იყო გლეხების და ფერმერების დახმარება, რომ მეტი მოსავალი აეღოთ და მომხდარიყო სოფლის მეურნეობის სექტორის კომერციალიზაცია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანახმად, ამ მცდელობებმა ხელი შეუწყო მოსავლის ზრდას და დივერსიფიკაციას ბაზარზე. „2013 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ძირითადი სტრატეგია იყო სექტორის განვითარება მოკლევადიან პერიოდში და ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ ამ წელს „რევოლუციური", რადგანაც განხორციელებული იყო მრავალი წარმატებული პროექტი, რამაც ფინანსური რესურსი უფრო მიღწევადი გახადა ფერმერებისთვის, გლეხებისთვის და მეწარმეებისთვის", 16 დეკემბერს სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ კონფერენციაზე განაცხადა, როცა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მიღწევები 2013 წელს. ეს ღონისძიება გაიმართა „ექსპო ჯორჯიას“ საგამოფენო დარბაზში თბილისში. მას ასევე ესწრებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და კერძო სექტორი, მათ შორის ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია. წლის შედეგების შეფასებისას ფიფიამ მცირე ფერმერების საგაზაფხულო მხარდაჭერის პროგრამას უპრეცედენტო უწოდა, ნომინალური და კომბინირებული ბარათების გამოყენებით მცირე ფერმერებმა მოახერხეს მიწების დამუშავება და სამეურნეო მასალების და ინვენტარის უფასოდ მიღება. მთლიანობაში მცირე ფერმერების საგაზაფხულო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 710 385 ფერმერმა მიიღო 195,5 მლნ ლარი და 207,3 ათასი ჰექტარი მიწა დაამუშავა. ახალი პროექტებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული მომსახურების შესახებ საუბრისას, ფიფიამ ისაუბრა დახმარების პროექტების, მათ შორის ფერმერებისთვის სესხების - შეღავათიანი აგროკრედიტების გაცემის შესახებ, სოფლის მეურნეობის კოოპერატივების სააგენტოს შესახებ, რომელიც ინდივიდუალურ კოოპერატივებს ანიჭებს და წყვეტს სტატუსს და სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD საქართველო) შესახებ, რაც ზრდის სოფლის მეურნეობის პროდუქციას და ეხმარება სოფლის განვითარებას. სოფლის მეურნეობის კომპანიებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ შეღავათიანი აგროკრედიტი ბიზნესის განვითარებისთვის და პროექტის დაწყების შემდეგ 8 ათას ფერმერზე მეტმა მიიღო 220 მილიონი ლარის კრედიტების ნაწილი. შეღავათიანი რესურსი ეხმარება კომპანიებს კაპიტალის ბრუნვაში. გარდა ამისა, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 53 ახალი ბიზნესი დაფინანსდა. ფიფიამ ასევე ხაზი გაუსვა „რთველი 2013“-ის მნიშვნელობას და სახელმწიფო სუბსიდიას მანდარინის მწარმოებელი ფერმერებისთვის. ღონისძიებაზე სახელმწიფო მოხელეებმა აღნიშნეს, რომ განხორციელდა სარწყავი და სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები. „სარწყავი და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციის შემდეგ მოსავალი გაიზრდება 40-50%-ით", აღნიშნა ფიფიამ.

Agenda.ge, 16.12.2013

2014 წლის განვითარების გამოწვევები

მომავალ წელს მთავრობა გეგმავს გააგრძელოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ცდილობს გაზარდოს პოტენციალი საექსპორტო ბაზრებზე. კერძოდ, უახლოეს გეგმებში შედის საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების გაზრდა. „ამავე დროს, ჩვენ ვმუშაობთ საექსპორტო ბაზრების განვითარებაზე ევროკავშირში ყოვლისმომცველი და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ძალაში შესვლის მომენტისთვის ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2014 წლის სექტემბრიდან. საქართველო უნდა იყოს მზად, რომ გაზარდოს ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე", განაცხადა ფიფიამ. ექსპორტის დივერსიფიკაციის შესახებ დისკუსიის დროს ფიფიამ აღნიშნა, რომ მთავრობა მუშაობს სოფლის მეურნეობის რეფორმებზე. ამ მხრივ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით უახლოეს მომავალში მომზადდება ახალი

კანონი სურსათის უვნებლობის შესახებ. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა, რომ ძირითადი ყურადღება დაეთმობა იმპორტირებული პროდუქციის ხარისხს. „ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ქართველი ხალხის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე და ამიტომ განვახორციელებთ სპეციალურ კონტროლს კვების პროდუქტებზე. ეს მცდელობები ასევე მოახდენს ადგილობრივი პროდუქციის ხარისხის განვითარების სტიმულირებას და ჩაანაცვლებს იმპორტს ადგილობრივი პროდუქციით", განაცხადა ნარმანიამ. ზოგადად, მოსახლეობის 50% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, დარგის წილი მშპ-ში კი 8-9%, ხოლო სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების კი - 4%-ია.
Agenda.ge. 16.12.2013

მთავრობის სუბსიდიით ციტრუსის მოსავალი გაორმაგდა
საქართველოში ციტრუსის მთავარ მწარმოებელ აჭარის რეგიონში 110 000 ტონა ციტრუსის მოსავალი აიღეს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით ეს თითქმის ორჯერ მეტია გასულ წელს აღებულ 52 000 ტონასთან შედარებით. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია მიიჩნევს, რომ ექსპორტიორი ქვეყნების, როგორიცაა ესპანეთი, მაროკო და თურქეთი, ციტრუსი ასევე დიდი რაოდენობით მოვიდა წელს. ამან გავლენა მოახდინა პროდუქციის ფასზე და ღირებულებაზე, რამაც თავის მხრივ შეამცირა ციტრუსის საერთაშორისო სტანდარტები. „იმის გამო, რომ გაორმაგდა ციტრუსის მოსავალი მაღალი კონკურენცია იყო საერთაშორისო ბაზარზე, ციტრუსის ფასი შემცირდა და შეადგინა 35-40 თეთრი კილოგრამზე," განაცხადა ფიფიამ. მიზნად ისახავს რა დაეხმაროს ფერმერებს, მთავრობამ გამოყო 13,8 მლნ ლარი ციტრუსის სუბსიდირებისთვის. პროდუქციის შეძენისთვის მთავრობა იხდის დამატებით 10 თეთრს ჩვეულებრივი ციტრუსის კილოგრამზე და 5 თეთრით მეტს - მაღალი ხარისხის ციტრუსზე. ქობულეთის გადამამუშავებელი ფაბრიკა შეიძენს 20 ათას ტონამდე ციტრუსს ამ წელს. აჭარაში 36 შემფუთავი ფაბრიკა მუშაობს, რომლებიც ფუთავენ და გზავნიან პროდუქციას ექსპორტზე. დღეისათვის, 23 ათას ტონაზე მეტი მანდარინი უკვე ექსპორტირებულია საქართველოდან. გასულ წელს საქართველოს ციტრუსის 80% წავიდა უცხოურ ბაზარზე, დაახლოებით 10% დარჩა შიდა ბაზარზე ხილის სახით, ხოლო დანარჩენი წავიდა გადამამუშავებელ ფაბრიკებში. მთავარი საექსპორტო ბაზარი ქართული ციტრუსისთვის ტრადიციულად უკრაინაა, რომელიც მთლიანი ციტრუსის ექსპორტის 90%-ზე მეტს იღებს. ამ შემოდგომაზე ქართული ციტრუსი დაბრუნდა რუსეთის ბაზარზე 7 წლიანი ემბარგოს შემდეგ. ფიფიას განცხადებით მთავრობა გეგმავს 50 000 ტონა მოსავლის ექსპორტს რუსეთში. მაგრამ დიდთოვლობამ საქართველოს ტერიტორიაზე შეაჩერა მოსავლის აღების პროცესი და შეაყოვნა ექსპორტი, რამაც მოსავალი დააზიანა. „იმის გამო, რომ ცუდი კლიმატური პირობები იყო, გემებმა შესვლა ვერ მოახერხეს შავი ზღვის პორტებში და 200 სატვირთო მანქანაზე მეტი შეჩერდა გზაზე," აღნიშნა ფიფიამ. ნაციონალური მოძრაობის პარტიის წევრები ადანაშაულებენ ხელისუფლებას და აცხადებენ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ვერ მოახერხა ზრუნვა ციტრუსის მოსავალზე. „ციტრუსის 35%-ზე მეტი არ არის მოკრეფილი და მხოლოდ 36 შემფუთავი ფაბრიკის მართვის ორგანიზება არ გადაჭრის პრობლემას. არაკვალიფიციურ მთავრობას სჯეროდა, რომ მყიდველი თვითონ მოვიდოდა, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. მთავრობას ეგონა, რომ ციტრუსის მოსავალი ისევე წარმატებით გაიყიდებოდა, როგორც ყურძენი შემდგომაზე რუსეთის ბაზრის გახსნის გამო“, განაცხადა პეტრე ცისკარიშვილმა, ნაციონალური მოძრაობის წევრმა, სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა 2006-2008 წლებში. ბროწეული, ლიმონი და ფორთოხალი ძირითადი ხილია საქართველოში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ციტრუსის პლანტაციები საქართველოში მთლიანობაში 3 000 ჰექტარს შეადგენს.
Agenda.ge.16.12.2013

ყველაფერი საქართველოს სოფლის მეურნეობის კოოპერატივების შესახებ
გაზეთთან ინტერვიუში სოფლის მეურნეობის კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი მიშველაძე მიუთითებს, რომ მისი სააგენტოს ძირითადი ფუნქცია სოფლის მეურნეობის კოოპერატივის სტატუსის მინიჭებაა, შემდეგ კი მათი საქმიანობის მონიტორინგი და საინფორმაციო ბანკის შექმნა. ამჟამად სააგენტო ატარებს საინფორმაციო კამპანიას რეგიონებში. „ჩვენ ვურჩევთ კოოპერატივებს ერთ სფეროზე ორიენტირებას და არა მრავალპროფილურ საქმიანობას", აცხადებს მიშველაძე. მან ასევე განაცხადა, რომ მიწის როგორც წილის შეტანა გაწევრიანების დროს, შეიძლება გათვალისწინებული იყოს კოოპერატივის წესდებაში, მაგრამ ეს არ არის სავალდებულო, გაწევრიანების შემდეგ ფერმერების ხარჯები მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს. მიშველაძის აზრით, იანვარში პირველი სამეურნეო კოოპერატივები შეიქმნება ასპინძაში და ახალქალაქში. ასევე დაგეგმილია არსებული კოოპერატივების რეორგანიზაცია.
ECONOMIC PRESS MONITOR, 17 დეკემბერი, 2013

რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის თითქმის 50% გადის ექსპორტზე

სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ განაცხადა, რომ ღვინის ექსპორტი განხორციელდა 48 ქვეყანაში 2013 წელს და შეადგინა 44,65 მილიონი ბოთლი. ეს წინა წლის მაჩვენებელზე 96%-ით მეტია. ამასთან, რუსეთის ბაზარზე მოდის ქართული ღვინის ექსპორტის 48,8% (ე.ი. 21,78 მილიონი ბოთლი). უნდა აღინიშნოს, რომ საქსტატის ინფორმაციით 9 თვის განმავლობაში ღვინის ექსპორტის მოცულობამ 74,16 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 73,9%-ით გაიზარდა.
Daily News,16 დეკემბერი, 2013

შპს სუბტროპიკული ხილის კომპანიამ ააშენა გადამამუშავებელი საწარმო შეღავათიანი აგროსესხის მეშვეობით
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით შპს სუბტროპიკული ხილის კომპანიამ მიიღო სესხი 420 000 აშშ დოლარი შეღავათიანი აგროსესხის პროგრამის მე-3 კომპონენტის ფარგლებში (სოფლის მეურნეობის საწარმოების კრედიტი). ამ სესხის ფარგლებში შპს-მ ააშენა ციტრუსის და ხილის გადამამუშავებელი საწარმო სოფელ ნატანებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (გურიის რეგიონი). სამინისტრომ განაცხადა, რომ საწარმოს არსებული სიმძლავრე შეადგენს 50 ტ მანდარინს ყოველდღიურად, ამავე დროს ზრდა იგეგმება 100 ტ-მდე. ციტრუსის სეზონზე, ნატანების საწარმო აპირებს 1 500 ტ მანდარინის გადამუშავებას. სამინისტროს ცნობით 23 000 ტონაზე მეტი ციტრუსის ექსპორტი განხორციელდა საქართველოდან.
Daily News, 16 დეკემბერი, 2013

220,08 მილიონი ლარი გაიცა შეღავათიანი აგროსესხის პროგრამის ფარგლებში
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, შეღავათიანი აგროსესხის პროგრამის მე-6 კომპონენტის ფარგლებში სესხის სახით 220,08 მილიონი ლარი გაიცა 8052 ბენეფიციარზე. პირველი კომპონენტი (უპროცენტო სესხები საქონლის სანაცვლოდ მცირე ფერმერებისთვის) – 1 106 მლნ ლარი, მე-2 კომპონენტი (სესხები საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის) - 98,59 მილიონი ლარი, მე-3 კომპონენტი (სოფლის მეურნეობის საწარმოები) - 39,49 მილიონი ლარი, მე-5 კომპონენტი (ყურძნის შესყიდვის ხელშეწყობა ღვინის ქარხნების მიერ) - 52,37 მილიონი ლარი, ხოლო მე-6 კომპონენტი (საწარმოების მიერ მანდარინის შეძენის დაფინანსება) – 400 000 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არავინ დაინტერესდა მე-4 კომპონენტით (სასოფლო-სამეურნეო მანქანების იჯარა). სამინისტროს განცხადებით, პროგრამის წლევანდელი ბიუჯეტი, რომელიც გამოიყენება პროცენტების სუბსიდირებისთვის, განისაზღვრა 29,6 მლნ ლარით. ამასთან, სამინისტრო ვერ აკონკრეტებს ფაქტობრივად ათვისებულ მოცულობას. შეღავათიანი აგროსესხის პროგრამის მომავალი წლის ბიუჯეტი გაიზარდა 2,3-ჯერ და შეადგინა 68,8 მილიონი ლარი.
Daily News, 16 დეკემბერი, 2013

დაახლოებით 10 000 ტ მანდარინი ელოდება ტრანსპორტირებას ბათუმის პორტიდან უკრაინაში
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით ამინდის გაუმჯობესების შემდეგ დაუყონებლივ (სავარაუდოდ, 3-4 დღეში) მანდარინის ექსპორტის პროცესი აღდგება, როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო მარშრუტებით. დღეისათვის, ბორანი ჩამოვიდა ბათუმის პორტში, რომელიც იქნება დატვირთული უკრაინაში ექსპორტისთვის განკუთვნილი დაახლოებით 10 000 ტონა მანდარინით, აღნიშნეს სამინისტროში. დღეისათვის ქვეყანამ ექსპორტზე 17000 ტონაზე მეტი ციტრუსი გაიტანა. წინა წელთან შედარებით მაჩვენებელი 70%-ით გაიზარდა. მანდარინის ფასი საქართველოს ბაზარზე შეადგენს 35-45 თეთრს 1 კგ-ზე.
Daily News, 13 დეკემბერი, 2013

გადამამუშავებელი საწარმო ჩაიბარებს გაყინულ მანდარინს
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით ნატროშვილმა განუცხადა გაზეთს, რომ საქართველოს მთავრობამ დაიწყო მზადება ციტრუსის მოსავლის აღების სეზონისთვის 8 თვის წინ და მოლაპარაკებები გამართა პარტნიორ ქვეყნებში. შედეგად, უკრაინამ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა შეამცირეს განბაჟების ღირებულება, აღნიშნა მან. გარდა ამისა, ნატროშვილის განცხადებით, „ჩატარდა დიდი სამუშაო ციტრუსის გადამამუშავებელი ობიექტების დასაარსებლად აჭარაში" და ამჟამად 36 პავილიონი მიიღებს ციტრუსს რეგიონში. მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, ორი გადამამუშავებელი საწარმო (დააარსდა უკრაინული და თურქული ინვესტიციებით) მიიღებს დაბალი ხარისხს ციტრუსსაც. როგორც ნატროშვილი ამბობს, ფასები დაბალია ამ წელს დიდი მოსავალის გამო ციტრუსის მიმწოდებელ ქვეყნებში (თურქეთი, მაროკო, ესპანეთი). ამას დაემატა ცუდი ამინდი, რომელმაც შექმნა დამატებითი პრობლემები, სამი დიდი გემი იცდის ბათუმის პორტში, რადგან ყინვა და ქარიშხალია, ამინდი პროგნოზით გაუმჯობესდება 2-3 დღეში და ციტრუსის ექსპორტი აღდგება.
ECONOMIC PRESS MONITOR, 13 დეკემბერი, 2013

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქსტატი ითანამშრომლებენ სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფის მიმართულებით

სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თენგიზ ცეკვავამ ხელი მოაწერეს მემორანდუმს სოფლის მეურნეობის სექტორში სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფის მიმართულებით აქტიურ თანამშრომლობაზე. ყოველი კალენდარული წლის დაწყებამდე 6 თვით ადრე „საქსტატი“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიაწვდის სამინისტროს ინტერესში შემავალი სტატისტიკური მაჩვენებლების ჩამონათვალს. მემორანდუმის ფარგლებში შეიქმნება ორმხრივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შესაბამისი კომპეტენციის მქონე ექსპერტებით დაკომპლექტდება.

Daily News, 12 დეკემბერი, 2013

საგაზაფხულო სამუშაოები დაფინანსდება ერთობლივად სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კერძო ფონდებიდან

საქართველოს მთავრობის ინფორმაციით ეკონომიკურმა საბჭომ განიხილა გუშინ არსებული ეკონომიკური ვითარება და ახალი საინვესტიციო წინადადებები. კერძოდ, გადაწყდა, რომ საგაზაფხულო სამუშაოები დაფინანსდება მომავალ წელს ერთობლივად საბიუჯეტო და კერძო ფონდების მიერ. შეგახსენებთ, რომ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს 50 მილიონ ლარ დახმარებას მცირემიწიანი ფერმერების საგაზაფხულო სამუშაოებისთვის. ამავე მიზნით წელს ფონდმა „ქართუ“ და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდმა დახარჯა 195,8 მილიონი ლარი.

Daily News, 12 დეკემბერი, 2013

მცირემიწიან ფერმერთა დახმარების ყველა პროექტი გაგრძელდება

გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია აცხადებს, რომ მცირემიწიან ფერმერთა დახმარების ყველა პროექტი გაგრძელდება მომავალ წელს „საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო დაფინანსებით". 2013 წელს ბიუჯეტიდან 200 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი. 2014 წელს საბიუჯეტო წილი შეადგენს 50 მლნ ლარს, ხოლო დანარჩენი დაფინანსდება არასაბიუჯეტო წყაროებიდან, აცხადებს მინისტრი, მაგრამ არ ასახელებს, რა რაოდენობის თანხაა ამ ეტაპზე. რაც შეეხება სხვა პრიორიტეტებს მომავალ წელს, ფიფია აცხადებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სარწყავ სისტემებს და სურსათის უვნებლობის სამსახურის გაძლიერებას. სურსათის ხარისხის კონტროლის სისტემა რეალურად ამოქმედდება საზღვრებზე, აცხადებს ის. სამინისტროს სხვა პრიორიტეტია ფერმერებისთვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა. ამჟამად ბანკების მიერ გაცემულია 240 მილიონი ლარი შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის ფარგლებში, რაც გაგრძელდება ბიუჯეტის ასიგნებებით 2014 წელსაც (პროცენტის ნაწილის დაფინანსება), აცხადებს მინისტრი.

ECONOMIC PRESS MONITOR,12 დეკემბერი, 2013

EPRC: 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქტის ზრდის დინამიკა იმედის მომცემია

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) განცხადებით 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქტის ზრდის დინამიკა იმედის მომცემია. თუმცა, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქტის, თხილის, წარმატება „იქნება მნიშვნელოვნად დამოკიდებული მიწის დინამიკაზე და სამუშაო ძალის ღირებულებაზე მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში". ეთილის სპირტი, ყურძნის ნატურალური ღვინოები, მინერალური და წყაროს წყლები ასევე ქვეყნის საექსპორტო ლიდერებია. ძირითადი საექსპორტო პროდუქტების ჩამონათვალი აჩვენებს, რომ პროდუქციის უმრავლესობას აქვს მაღალი ღირებულების შექმნის პოტენციალი და მოითხოვს შედარებით ჭარბ მუშახელს, რაშიც საქართველოს აქვს შედარებითი უპირატესობა, აღნიშნავს EPRC. სახელმწიფო პოლიტიკა უნდა კონცენტრირდეს იმ დარგების ხელშეწყობაზე, რომლებსაც აქვს კონკურენტული უპირატესობა საერთაშორისო მასშტაბით - აღნიშნავენ ექსპერტები.

Daily News, 11 დეკემბერი, 2013

მიწის მმართველობა საქართველოში

ევროკავშირმა საქართველოში მიწის მმართველობის შესახებ ახალი პროექტი დააფინანსა, ინფორმაციის და ცნობიერების ამაღლების ხელშესაწყობად მდგრადი განვითარების მისაღწევად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანებსა და მიწას შორის მჭიდრო კავშირს, რომელიც გამყარებულია მიწის მმართველობის გამართული სისტემით. მწვანე ალტერნატივა იწყებს პროექტის განხორციელებას სახელწოდებით: მიწის მმართველობის გაუმჯობესება საქართველოში მდგრადი სოფლის მეურნეობის

ხელშესაწყობად. პროექტი ორწელიწადნახევარი გაგრძელდება; ევროკავშირმა პროექტის მხარდასაჭერად 150 000 ევრო გამოყო.

პროექტი მიზნად ისახავს:

- სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს, სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის საჯარო პოლიტიკის შესახებ დიალოგის ხელშეწყობას;
- სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების მიერ ადვოკატირებისთვის გაწეული ძალისხმევის ეფექტიანობის ამაღლებას.

პროექტის დასრულების შემდეგ:

- შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს ექნებათ ინფორმაცია ქვეყანაში არსებული მიწის მმართველობის სისტემის შესახებ და ასევე, ჩამოყალიბებული საერთო ხედვა გასატარებელ ღონისძიებებზე მიწის კარგი მმართველობისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშესაწყობად;
- შესაბამისი დაინტერესებული მხარეები უკეთ იქნებიან გათვითცნობიერებული მიწის კარგი მმართველობისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის სფეროში გატარებული პოლიტიკებისა და გამოყენებული პრაქტიკის შესახებ;
- სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს შორის გაუმჯობესდება ურთიერთთანამშრომლობა და ისინი, ადვოკატირების გზით, უკეთ მიაღწევენ დასახულ მიზნებს;
- მედია უკეთ გააშუქებს მიწის მმართველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის:

ქეთი გუჯარაიძე, პროექტის კოორდინატორი
ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართ.
ტელ.: (995 32) 229 27 73; ფაქსი: (995 32) 222 38 74
http://dwvg.ge/joomla/index.php?option=com_acymailing&no_html=1&ctrl=url&urlid=448&mailid=396&subid=11

ზემო სამგორის სამელიორაციო არხებზე სარეაბილიტაციაო სამუშაოები მომავალი წლის შემოდგომაზე დასრულდება

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია ზემო სამგორის სარწყავი სისტემის თბილისის ზღვის სათავე ნაგებობის და მაგისტრალური არხის რეაბილიტაციას ახორციელებს. სარეაბილიტაციო სამუშოებს კომპანია შპს „კალასი" ასრულებს, რომელმაც შესაბამის ტენდერში გაიმარჯვა. პროექტის ღირებულება 9,5 მლნ ლარია, აცხადებენ სამინისტროში. დღეისათვის უკვე შესრულებულია 403 662 ლარის ღირებულების სამუშოები. ამ ეტაპზე დაახლოებით 3 ათასი ჰექტარი მიწის სავარგულის მორწყვაა შესაძლებელი. რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება გარდაბანის რაიონის სოფლების (ქვემო ქართლის რეგიონი) მორწყვა, აღნიშნავენ სამინისტროში. სამინისტროს განცხადებით, შარშანდელთან შედარებით წლის ბოლომდე სამჯერ მეტი ფართობი უზრუნველყოფილი იქნება წყლით. ამჟამად წყალუზრუნველყოფილია 68,2 ათასი ჰექტარი სავარგული.
Daily News, 11 დეკემბერი, 2013

საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო კომპანიის კაპიტალი 48,59 მლნ ლარამდე გაიზრდება

პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განკარგულებით საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო კომპანიის კაპიტალი გაიზრდება 48,59 მლნ ლარამდე. გარდა ამისა, 11,1 მილიონი ლარი იქნება გამოყოფილი კომპანიისთვის სუბსიდიის სახით. სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამოყოფს აღნიშნულ თანხას ქვეპროგრამის „სარწყავი სისტემების მოდერნიზაცია" ფონდებიდან. სახელმწიფო არის შპს საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო კომპანიის ერთადერთი მფლობელი. როგორც კომპანიაში განუცხადეს სარკეს, მიმდინარე კაპიტალი 454,58 მლნ ლარს შეადგენს.
Daily News, 10 დეკემბერი, 2013

აგროსერვის-ცენტრის წარმომადგენლობების ქსელი ამოქმედდება აჭარაში

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საქართველოს ოფისმა განაცხადა, რომ აგროსერვის-ცენტრის წარმომადგენლობების ქსელი ამოქმედდება აჭარაში მომავალ წელს. ცოტა ხნის წინ ასეთი წარმომადგენლობა გაიხსნა ქობულეთში. გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ ევროკავშირის და UNDP-ის წარმომადგენლები, რომლებმაც წარადგინეს სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის მიმდინარე პროგრამის „ENPARD აჭარა" განხორციელება ბათუმსა და ქობულეთში გასულ კვირას. ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა მოინახულეს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, რომელმაც გაიარა

ცოტა ხნის წინ ISO 17025 სერტიფიცირების პროცედურა. ევროკავშირის მიერ პროგრამა „ENPARD აჭარა" 3,3 მილიონი ევროთი არის დაფინანსებული.
Daily News, 10 დეკემბერი, 2013

EPRC: სოფლის მეურნეობის სექტორი ტექნოლოგიური ჩამორჩენის ტყვეობაშია
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) ხაზს უსვამს მცირე, ფრაგმენტული საოჯახო ფერმების დომინირებას საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში. „სექტორი ტექნოლოგიური ჩამორჩენის ტყვეობაშია და ხასიათდება დაბალი პროდუქტიულობით", აღნიშნავს ორგანიზაცია. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის მუშახელის 50% და დარგი კი მშპ-ს მხოლოდ 8-9%-ს იკავებს, ხოლო სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების წილი მშპ-ში შეადგენს 4%, აღნიშნავს EPRC. სექტორში არსებული სიტუაციის ახსნისას, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი ასახელებს კვალიფიციური ადამიანური რესურსების და კაპიტალის ნაკლებობას, რაც დაკავშირებულია უწესრიგო ინფრასტრუქტურასთან, განუვითარებელ მიწის ბაზართან, შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის სისუსტესთან. EPRC აღნიშნავს, რომ სექტორში განხორციელებული პროგრამების შედეგები (სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა, ხორბლის მოსავლის ინტენსიფიკაციის პროგრამა, მეღვინეობის მხარდაჭერის პროგრამა და „100 ახალი სოფლის მეურნეობის საწარმოს" პროგრამა) არ შეესაბამებოდა მოლოდინებს. მიმდინარე პროგრამების ეფექტი (სარწყავი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ტრეინინგები და კონსულტაციები, მცირემიწიანი ფერმერების დახმარება და შეღავათიანი აგროსესხები) ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის - აღნიშნა ორგანიზაციამ. კონკრეტული პროგრამების განხილვისას ორგანიზაცია იწონებს სარწყავი სისტემების რეაბილიტაციას, თუმცა აღნიშნავს, რომ ეს პრობლემა არ მოგვარდება ერთჯერადი ღონისძიებებით. მცირემიწიანი ფერმერების დახმარების პროგრამა შეფასდა უარყოფითად და ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ამ პროგრამას ჰქონდა მკვეთრად სოციალური მიზნები და მისი ეკონომიკური შედეგების დადგენა შეუძლებელია. ექსპერტები თვლიან, რომ ასეთი პროგრამების განხორციელება მომავალში უნდა შეწყდეს და ბენეფიციარების საჭიროებები უნდა გადაწყდეს მთავრობის სოციალური პოლიტიკის საშუალებით. მთავრობის ამოცანა უნდა იყოს სწრაფად შეიქმნას სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ისეთი გარემო, რომელიც გააიოლებს ინოვაციების და ინვესტიციების მოზიდვას, გაზრდის კერძო სექტორის ინტერესს და შესაძლებელს გახდის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, აღნიშნავს EPRC.
Daily News, 10 დეკემბერი, 2013

მეციტრუსეები შიშობენ, რომ სეზონი ჩავარდა
აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ავთანდილ მესხიძე აცხადებს, რომ ცუდმა ამინდმა გამოიწვია პრობლემები ციტრუსის ექსპორტში. ჯერ-ჯერობით მხოლოდ 12 000 ტ გავიდა ექსპორტზე, ხოლო 80 000 ტ დარჩა და ამინდი უარესდება, აღნიშნავს ის. მესხიძე განმარტავს, რომ 3 გემი უნდა ჩამოსულიყო ამ ეტაპზე, მაგრამ ტრანსპორტირების პროცესი შეწყვეტილია თოვლის გამო. ჩვენ ვცდილობთ ამ პრობლემის მოგვარებას თურქული მხარის დახმარებით, მაგრამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ მოლაპარაკება მიმდინარეობს და ფაქტობრივად პროგრესი არ შეინიშნება, აცხადებს მესხიძე.
ECONOMIC PRESS MONITOR, 10 დეკემბერი, 2013

სასოფლო მიწების დარეგისტრირებას რამდენიმე წელი დასჭირდება
სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 80% საქართველოში არ არის რეგისტრირებული. ამ მიზეზით, არ არის გამორიცხული პრობლემების წარმოქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიწების შევსებისას, აღნიშნავს გაზეთი. პროექტის „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობის გაზრდა" წარმომადგენელი ლაშა დოლიძე აცხადებს, რომ მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას დასჭირდება 40 მილიონი აშშ დოლარი. ამ წლის დასაწყისში სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა მოაგვაროს მიწების პირველადი რეგისტრაციის პროცესი, აღნიშნა მან. წელი უკვე გავიდა, მაგრამ სახელმწიფომ ჯერ კიდევ არ იცის, როდის უნდა დაიწყოს და როგორ უნდა ჩატარდეს მიწის რეგისტრაცია, წერს გაზეთი.
ECONOMIC PRESS MONITOR, 10 დეკემბერი, 2013

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე: რძის პროდუქტების წარმოებაში სერიოზული პრობლემებია
პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა განაცხადა, რომ არსებობს სერიოზული პრობლემები რძის წარმოებაში. „ჩვენი პროდუქცია ვერ უძლებს კრიტიკას სამომხმარებლო ბაზარზე", განუცხადა მან სარკეს. ამასთან, „ჩვენ გვაქვს სეზონური მიწოდება, ხოლო ზამთარში რძის მიწოდება ხშირად საკმაოდ მკვეთრად მცირდება", აღნიშნა აგულაშვილმა და დასძინა, რომ შესაბამისად, უცხიმო რძის ფხვნილი არის ძირითადი ნედლეული რძის მწარმოებლებისთვის,

რომლებიც ამატებენ პროდუქციას მცენარეულ ცხიმებს. ხშირ შემთხვევაში ეს ცხიმები აკრძალულია ბევრ ქვეყანაში, აღნიშნა მან. აგულაშვილმა განაცხადა, რომ გონივრული წესები, პრივილეგიები და შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკაა საჭირო, რათა დაკმაყოფილდეს მოთხოვნა პირველ რიგში შიდა ბაზარზე. თუმცა, „პროცესების აღდგენის რეალური პერსპექტივები გამოჩნდება 2-3 წლის შემდეგ უკეთეს შემთხვევაში", მიაჩნია მას. დღეს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ორგანიზებულია მრგვალი მაგიდა თბილისში, რომელიც განიხილავს რძის და რძის პროდუქტების წარმოების საკითხებს. როგორც აღინიშნა შეხვედრაზე, „არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა, თუ რა მოცულობის რძე მზადდება საქართველოში".

Daily News, 6 დეკემბერი, 2013

IFAD ხელს შეუწყობს იმ ფერმერების ინსტიტუციურ განვითარებას, რომლებიც იყენებენ სარწყავ არხებს

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) საქართველოს პროექტების პორტფელის მრჩეველმა დინა სალეჰმა განაცხადა, რომ ახალი პროექტი დაიწყება საქართველოსთვის მომავალ წელს. პროექტი, რომელსაც მხარს უჭერს მსოფლიო ბანკი და IFAD, ითვალისწინებს იმ ფერმერების ინსტიტუციურ განვითარებას, რომლებიც სარწყავ არხებს იყენებენ. სალეჰმა განიხილა ეს საკითხი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ შალვა ფიფიასთან შეხვედრაზე. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით პროექტი „სარწყავი არხების და მიწის ბაზრის განვითარება", რომელიც დაგეგმვის პროცესშია, სავარაუდოდ დაიწყება მომავალი წლის აპრილში. როგორც უწყებაში სარკეს განუცხადეს, პროექტის სავარაუდო ღირებულება ამ სტადიაზე შეადგენს 55 მილიონ აშშ დოლარს, მაგრამ პროგრამების დაზუსტება გრძელდება.

Daily News, 6 დეკემბერი, 2013

შეღავათიანი აგროსესხების პროგრამას კიდევ ერთი კომპონენტი შეიძლება დაემატოს

პარლამენტის სოფლის მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა განუცხადა სარკეს, რომ შეღავათიანი აგროსესხების პროექტის ახალი კომპონენტი „10-40-50" განხილვის პროცესშია. ეს კომპონენტი ითვალისწინებს 40%-იან სახელმწიფო გრანტს იმ მეწარმეების პროექტებისთვის, რომლებსაც აქვთ საკუთარი 10%-იანი დაფინანსება და 50% სესხს იღებენ ბანკიდან. ამ ეტაპზე ამ კომპონენტის დეტალები დამუშავების პროცესშია. აგულაშვილმა განაცხადა, რომ ეს ინიციატივა უნდა დაეხმაროს მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაში. იმ თანხის ოდენობა, რომელიც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2014 წელს, განხილული იქნება ბიუჯეტის პროექტის კომიტეტის მოსმენაზე მომავალ კვირას, აღნიშნა აგულაშვილმა. შეგახსენებთ, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრის შალვა ფიფიას ცნობით 202 მილიონ ლარზე მეტი სესხი გაიცა შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის 6 კომპონენტის ფარგლებში წელს.

Daily News, 6 დეკემბერი, 2013

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების დახმარება დაემატა ბიუჯეტის პროექტის განახლებულ ვერსიას

სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ განაცხადა, რომ მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების დახმარება დაემატა 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის განახლებულ ვერსიას, 50 მილიონი ლარის გამოყოფა არის გათვალისწინებული. შეგახსენებთ, რომ დახმარება ამავე პროექტის ფარგლებში გაეწია ამ წელს 710 000 ფერმერს. სულ დაფინანსებამ შეადგინა 195,8 მილიონი ლარი, ხოლო დამუშავებული მიწის მთლიანი ფართობი 200.000 ჰა-მდეა. დაფინანსება გამოყოფილი იყო ფონდის „ქართუ" და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის მიერ. შესწორებული პროექტი ითვალისწინებს 63,8 მილიონი ლარის გამოყოფას შეღავათიანი აგროსესხების პროგრამისთვის, რაც თავდაპირველად შემოთავაზებულზე 7,3%-ით ნაკლებია. რაც შეეხება წლევანდელ პროგრამას, ფიფიამ განაცხადა, რომ 6 კომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხები დღეისათვის აღემატება 202 მილიონ ლარს.

Daily News, 6 დეკემბერი, 2013

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე: მეციტრუსეების შემოსავალი შეადგენს 43,6 მლნ ლარს წელს

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძემ განაცხადა, რომ რეგიონში ის ფერმერები, რომლებიც დაკავებული არიან მეციტრუსეობით, მიიღებენ 43,6 მილიონი ლარის შემოსავლებს ამ წელს. მისი გათვლებით 40 მლნ ლარი იქნება მიღებული სტანდარტული, ხოლო 3,6 მილიონი ლარი - უხარისხო მანდარინის გაყიდვით. ხაბაძემ აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, ციტრუსის მწარმოებლები მიიღებენ 28 მილიონ ლარს მყიდველებისგან, ხოლო 12 მილიონ ლარს - სახელმწიფო სუბსიდიებიდან. აჭარის მთავრობის ინფორმაციით საქართველოს ბიუჯეტიდან 12 მილიონი ლარით დაფინანსდება სტანდარტული ტიპის მანდარინი. ამავე დროს, აჭარის ხელისუფლება გამოყოფს 1,8 მილიონ ლარს არასტანდარტული მანდარინის რეალიზაციის თანადაფინანსებისთვის. ხაბაძე აღნიშნავს, რომ

ფერმერები მიიღებენ 15 თეთრ სუბსიდიას 1 კგ სტანდარტულ მანდარინზე, თუ შემენის ფასი იქნება არანაკლებ 35 თეთრისა. გარდა აჭარისა, სახელმწიფო დაფინანსების აღნიშნული პრინციპი გავრცელდება მეციტრუსეებზე გურიის და სამეგრელოს რეგიონებში. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს 36 დახარისხება-შეფუთვის პავილიონი ფუნქციონირებს აჭარაში.
Daily News, 5 დეკემბერი, 2013

WSET (Wine & Spirit Education Trust)-ის წამომადგენლობა გაიხსნება ღვინის კლუბის ბაზაზე
ღვინის კლუბის პრეზიდენტმა მალხაზ ხარბედიამ განაცხადა, რომ WSET-ის წარმომადგენლობის გახსნა იგეგმება ღვინის კლუბის ბაზაზე. WSET-ის მე-2 დონის კვალიფიკაციის მქონე 10 ექსპერტზე მეტი გვყავს, ხოლო მალხაზ ხარბედიამ, გიორგი დარციმელიამ და გიორგი სამნიაშვილმა ახლახანს გაიარეს სერტიფიცირება მე-3 დონეზე. მათი სერტიფიცირება WSET-ის მიერ EPI-ის (USAID-ის მიერ დაფინანსებული ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა) მხარდაჭერით მოხდა. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს WSET-ის 5 საკვალიფიკაციო დონე (მეხუთე ყველაზე მაღალია).
Daily News, 4 დეკემბერი, 2013

ადგილობრივი მონაწილე მხარეები ერთიანდებიან ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისთვის სამხრეთ კავკასიაში (JOIN) - მცირე საგრანტო კონკურსი
„ქეა საერთაშორისო კავკასიაში" აცხადებს საგრანტო კონკურსს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს გამოვლენილ ღირებულებათა ჯაჭვების განვითარებას და მათში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვას საბაზრო ტრანზაქციებში ლორში, ტავუშში და შირაქში, მარზში, სომხეთში და სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში საქართველოში. საგრანტო კონკურსი ტარდება „ადგილობრივი მონაწილე მხარეები ერთიანდებიან ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისთვის სამხრეთ კავკასიაში (JOIN)" პროექტის ფარგლებში. საგრანტო პროგრამა საქართველო-სომხეთის საზღვრის ორივე მხარეს სამიზნე თემებში ერთობლივი კვლევის შედეგად გამოვლენილ ღირებულებათა ჯაჭვებზეა ორიენტირებული. გამოვლენილი ღირებულებათა ჯაჭვებია:
სომხეთში:

1. მებაღეობა ნოემბერიანის თემში
2. მეცხვარეობა ამასიის თემში
3. კარტოფილის წარმოება აზატანის თემში
4. რძის პროდუქტების და ტურიზმის განვითარება სტეფანავანის თემში
5. მეცხოველეობა ტაშირის თემში
6. მებაღეობა ბერდის თემში.

საქართველოში:

1. ხორცის წარმოება გარდაბნის მუნიციპალიტეტში
2. პომიდვრის წარმოება მარნეულის მუნიციპალიტეტში
3. ახალი კარტოფილის წარმოება ბოლნისის მუნიციპალიტეტში
4. რძის პროდუქტების წარმოება დმანისის მუნიციპალიტეტში
5. სასურსათე კარტოფილის წარმოება ახალქალაქის მუნიციპალიტეტში
6. რძის პროდუქტების წარმოება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

აღნიშნულ ღირებულებათა ჯაჭვებში სისტემური ცვლილებების შეტანა ფერმერებს შემოსავლების გაზრდის საშუალებას მისცემს, რაც განპირობებული იქნება მათი მხარდაჭერისა და ძირითადი ბაზრების გაზრდილი ეფექტურობით. საგრანტო პროგრამა პრიორიტეტს მიანიჭებს იმ ინიციატივებს, რომლებიც საქართველო-სომხეთის თემებს შორის კავშირების განვითარებას შეუწყობენ ხელს.

გრანტები გაიცემა ისეთი პროექტების მხარდასაჭერად, რომლებიც:

- გააუმჯობესებენ მცირე ზომის ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას (როგორიცაა სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია, სასაწყობე მეურნეობა და სხვა), რაც მნიშვნელოვანია ღირებულებათა ჯაჭვების განვითარებისთვის. ინფრასტრუქტურა შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საკუთრება;
- ხელს შეუწყობს ცოდნის ამაღლებასა და ტექნიკური შესაძლებლობების ზრდას სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და დამხმარე სერვისებში;
- უზრუნველყოფს მხარდაჭერას, ლობირებას და ცნობიერების ამაღლებას ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

განმცხადებელი უნდა:

- იყოს საქართველოში ან სომხეთში რეგისტრირებული იურიდიული პირი/სუბიექტი, როგორიცაა, კერძო პირები, კომერციული ინსტიტუტები, არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციები და სამთავრობო ორგანოები;

- ჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო ან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში სამუშაო გამოცდილება და უნარი; (3-5 წლამდე შესაბამისი სამუშაო გამოცდილება ბიზნესის მართვასა და/ან არასამთავრობო სექტორში);
- იყოს პირდაპირ პასუხისმგებელი შესასრულებელი ღონისძიებების მომზადებასა და მართვაში, და არ ასრულებდეს მხოლოდ შუამავლის როლს.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში მოთხოვნილი ნებისმიერი გრანტის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მინიმალურ და მაქსიმალურ თანხობრივ მოთხოვნებს:

- მინიმალური ოდენობა: 5 000 აშშ დოლარი
- მაქსიმალური ოდენობა: 40 000 აშშ დოლარი

უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებიც კანდიდატის უფრო მაღალ ფინანსურ კონტრიბუციას ითვალისწინებენ. არაკომერციულ საქმიანობასთან (როგორიცაა ინფრასტრუქტურის განვითარება/რეაბილიტაცია, ცნობიერების გაზრდა, და ა.შ.; იხილეთ სახელმძღვანელოს მე-3 თავი: საქმიანობების შესაბამისობა) დაკავშირებული გრანტის მოთხოვნაზე გათვალისწინებულია CARE-ის მთლიანი დაფინანსების მაქსიმუმ 70%. შესაბამისად, კანდიდატს მოეთხოვება პროექტის მთლიანი ღირებულების არა უმცირეს 30%-ს თანადაფინანსება. თანადაფინანსება შეიძლება მოხდეს როგორც ფულადი, ასევე არაფულადი რესურსით. გრანტის მოთხოვნა კომერციულ პროექტებზე არ უნდა აღემატებოდეს პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 50%-ს. თანადაფინანსება კანდიდატის საკუთარი ან სხვა რესურსებით უნდა მოხდეს. დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა აქვთ იხილონ ადგილობრივ ღირებულებათა ჯაჭვების ანალიზი ქართულ და სომხურ ენებზე, რომელიც ერთვის ამ დოკუმენტს ან გაეცნონ „ქეა საერთაშორისო კავკასიაში" ვებ-საიტზე საგრანტო სახელმძღვანელოსთან და განცხადების ფორმასთან ერთად მისამართზე:

- საქართველო: http://care-caucasus.org.ge/ge/main.php?id=1375276438
- სომხეთი: http://care-caucasus.org.ge/ru/main.php?id=1375275866

საპროექტო განაცხადებთან დაკავშირებით კითხვები შეგიძლიათ გამოაგზავნოთ საგრანტო კონკურსის დასრულებამდე 10 დღით ადრე ქვემოთ მოცემულ ელექტრონულ მისამართზე. წერილში გარკვევით მიუთითეთ „საგრანტო კონკურსი". ელ.ფოსტა: marika_bairamyan@care.org.ge

საპროექტო განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2013 წლის 27 დეკემბერი, 17:00 საათი ადგილობრივი დროით. ამობეჭდილი განაცხადი სხვა საჭირო დოკუმენტაციით შეიძლება წარმოდგენილ იქნას სომხურ, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (თითოეული განცხადება უნდა მოიცავდეს ინიციატივის მოკლე რეზიუმეს რუსულ ან ინგლისურ ენებზე) ელექტრონული ფოსტით მისამართზე Marika_bairamyan(at)care.org.ge ან უნდა იქნას მოწოდებული დალუქულ კონვერტში პირადად, ან გამოგზავნილი კერძო საკურიერო სერვისის მეშვეობით შემდეგ მისამართზე:

სომხეთში
აზატუტიანის ქ. 1/21, 40
0037 ერევანი
აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი

საქართველოში
ცაგარელის ქ. 37
0160 თბილისი
ქეა საერთაშორისო კავკასიაში

„ადგილობრივი მონაწილე მხარეები ერთიანდებიან ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისთვის სამხრეთ კავკასიაში" (JOIN) პროექტი დაფინანსებულია ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მიერ (დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ გვერდებს: www.mfa.at/adc, www.ada.gv.at), რომელიც ხორციელდება CARE ავსტრიისა და CARE საერთაშორისო კავკასიაში მიერ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) საქართველოში და აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი (CARD) სომხეთში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი

ჩვენი წევრი Business & Finance Consulting (BFC) აქვეყნებს საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსურ ბიულეტენს საინტერესო თემებზე. 2013 წლის დეკემბრის # 14 გამოცემას გაეცანით **ამ მისამართზე:**

http://agrogeorgia.blog.com/

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სომხეთს აქვს 659 600 ტონა კარტოფილი წელს
კარტოფილის მოსავალი სომხეთში გაიზარდა 659 600 ტონამდე წელს 647 000 ტონიდან 2012 წელს, სამველ გალსტიანმა, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, განაცხადა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე. „ზოგიერთი ექსპერტების პესიმისტური ვარაუდების საპირისპიროდ, ამ წელს ჩვენ შევძელით კარტოფილის მოსავალის ზრდის უზრუნველყოფა," განაცხადა მან. გალსტიანმა განაცხადა, რომ სომხეთიდან გავიდა ექსპორტზე 20 000 ტონა კარტოფილი წელს რუსეთში, საქართველოსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. მან ხაზი გაუსვა, რომ წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ფერმერების ერთობლივი ზომების მეშვეობით კარტოფილის ნათესები დაცული იყო კარტოფილის ბოლქვის პეპლისგან.
ერევანი, 17 დეკემბერი. /ARKA/.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სომხეთის ხილის მოსავალი წელს 331 700 ტონა იყო
სომხეთის ხილის მოსავალი 336 800 ტონა იყო წელს, ხოლო 331 700 ტონა 2012 წელს, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სამველ გალსტიანმა განაცხადა სამშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე. „ეს ზრდა ძირითადად განპირობებულია გარგარის დიდი მოსავალით - 86 400 ტონა, განაცხადა მან. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, გარგარის წლევანდელი მოსავალი 2012 წლისას 12 000 ტონით აღემატება. გალსტიანმა ასევე განაცხადა, რომ ყველა ხილის მოსავალი, ატმის გარდა, უფრო დიდი იყო 2013 წელს, ვიდრე 2012 წელს. „2012 წელს ატმის მოსავალი 63 000 ტონა იყო, ხოლო წელს მხოლოდ 60 700 ტონა“, განაცხადა მან.
ერევანი, 17 დეკემბერი. /ARKA/.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: 318 800 ჰექტარი მიწა დამუშავდა სომხეთში წელს
სომხეთში 318 800 ჰექტარი მიწა დამუშავდა წელს, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სამველ გალსტიანმა განაცხადა სამშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე. მისი თქმით, დამუშავებული მიწის ფართობი გაიზარდა 35000 ჰექტარით 2010 წლიდან. მისი სიტყვებით, დამუშავებული მიწის საერთო ფართობი ქვეყანაში 449 200 ჰა არის. გალსტიანის სიტყვებით სამინისტრო გეგმავს არა მხოლოდ თანდათან ნათესების გაფართოებას, არამედ მისი მიზანია პროდუქტიულობის ზრდა - მაგალითად, მარცვლეულის მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე დაგეგმილი იყო 30 ცენტნერი და მეტი. სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, დამუშავებული მიწის საერთო ფართობი ქვეყანაში გაიზარდა 7%-ით ან 25 300 ჰექტარით ამ წლის პირველ ნახევარში.
ერევანი, 17 დეკემბერი. /ARKA/.

სომხეთი: 224 000 ტონა ხილი და ბოსტნეული გაიგზავნა გადამამუშავებელ საწარმოებში
გადამამუშავებელმა საწარმოებმა შეიძინეს 224 000 ტონა ხილი და ბოსტნეული სომხეთში წელს, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რობერტ მაკარიანმა განაცხადა პრესკონფერენციაზე. „28 000 ტონამდე ბოსტნეული, 29 000 ტონამდე ხილი და 167 000 ტონამდე ყურძენი გაიყიდა გადამამუშავებელ საწარმოებზე“ განაცხადა მან. 2012 წელს 215 000 ტონა ახალი ხილი და ბოსტნეული იქნა შეძენილი საწარმოების მიერ. ყურძენის საშუალო ფასი იყო 146,2 დრამი ერთ კილოგრამზე 2013 წელს, ხოლო 2012 წელს 142,1 დრამი. მინისტრის მოადგილის თქმით, ამ წლის შეძენის პროცესი დიდი პრობლემების გარეშე მიმდინარეობდა - საწარმეობმა გადაიხადეს ვალები თითქმის მთლიანად.
წყარო: arka.am, 12/16/2013

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: 60 100 ტონა ნედლი ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი განხორციელდა სომხეთიდან წელს
სომხეთმა ექსპორტზე 60 100 ტონა ნედლი ხილი და ბოსტნეული გაიტანა წელს 12 დეკემბრისთვის, განაცხადა პარასკევს რობერტ მაკარიანმა, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ. „ეს მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელს 30 500 ტონით აღემატება“, განაცხადა მან. მისი თქმით, გარგარი დომინირებს ქვეყნის ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტში წელს - დაახლოებით 23 000 ტონა გარგარი გაიგზავნა საზღვარგარეთ ამ წელს, ხოლო გასულ წელს 12 000 ტონა გავიდა ექსპორტზე. სომხეთმა ასევე ექსპორტზე გაიტანა 6 800 ტონა ყურძენი, 980 ტონა ატამი, 633 ტონა ვაშლი, 610 ტონა ალუბალი და 27 000 ტონა ბოსტნეული, მათ შორის 20 500 ტონა კარტოფილი. მინისტრის მოადგილემ ასევე განაცხადა, რომ რუსეთში გაგზავნილი ხილი და ბოსტნეული შეადგენს სომხეთის ექსპორტის ორ მესამედს. „სომხეთის წევრობა საბაჟო კავშირში მისცემს მას ახალ შესაძლებლობებს გაზარდოს სოფლის მეურნეობის პროდუქცია“, განაცხადა მან. მაკარიანმა აღნიშნა საქართველო, უკრაინა, ერაყი და

თურქმენეთი, როგორც ქვეყნები, რომლებიც სომხეთის ხილის და ბოსტნეულის იმპორტს ახორციელებდნენ წელს.
ერევანი, 13 დეკემბერი. /ARKA/.

კარტოფილის ბოლქვის პეპლისგან მიყენებული ზარალი არარატის ველზე მინიმიზებულია
სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გარნიკ პეტროსიანმა დღეს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სამინისტრომ მოახერხა არარატის ველზე კარტოფილის ბოლქვის პეპლისგან და მწერებისგან მიყენებული ზარალის შემცირება. 2012 წელს კარტოფილის ბოლქვის პეპელამ დიდი ზარალი მიაყენა მოსავალს არარატის და არმავირის რეგიონებში. „წელს ჩვენმა სამინისტრომ ფერმერებთან თანამშრომლობით აუცილებელი ზომები განახორციელა არარატის ველზე კარტოფილის ბოლქვის პეპლის ზიანის შესამცირებლად“, განაცხადა მინისტრის მოადგილემ. ფერმერებმა თავი უნდა შეიკავონ დარგვისგან იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც უკვე შეეხო პეპელა, განაცხადა მან. მათ ასევე უნდა დარგონ ნერგები ღრმად მიწაში და დროულად გამოიყენონ შესაბამისი პესტიციდები. „მაგრამ მათ უნდა ახსოვდეთ, რომ მხოლოდ ერთი მეთოდის გამოყენება არ იძლევა სასურველ ეფექტს, კომპლექსური მიდგომაა საჭირო, რათა მივაღწიოთ მიზანს“, დასძინა მან საინფორმაციო სააგენტოსთან Arka. სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს, რომ კარტოფილის მოსავალი სომხეთში შეიძლება სულ 658 000 ტონა იყოს ამ წელს 2012 წლის 647 000 ტონისგან განსხვავებით.
წყარო: arka.am გამოქვეყნების თარიღი: 12.12.2013

სომხეთმა შოკოლადის იმპორტი გაზარდა
შოკოლადის და კაკაოს შემცველი პროდუქციის იმპორტი სომხეთის რესპუბლიკაში იანვარ-ოქტომბერში გაიზარდა 8,78%-ით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და შეადგინა 5.364,3 ტონა. იმპორტირებული შოკოლადის საერთო საბაჟო ღირებულებამ 25,5 მილიონ დოლარს გადააჭარბა. Armenpress იუწყება, რომ სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის მონაცემების მიხედვით შოკოლადის და კაკაოს შემცველი პროდუქციის ძირითადი ნაწილი სომხეთში იანვარ-ოქტომბერში იმპორტირებული იყო რუსეთის ფედერაციიდან (2 303,5 ტონა) და უკრაინიდან (2 040,9 ტონა). შოკოლადი და კაკაოს შემცველი პროდუქცია სომხეთში იმპორტირებული იყო ასევე იტალიიდან (435,1 ტონა), სინგაპურიდან, ჰოლანდიდან, პოლონეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.
11 დეკემბერი, ARMENPRESS

სომხეთი ააქტიურებს ხორცის და ძეხვის წარმოებას
ხორცის წარმოება სომხეთის რესპუბლიკაში იანვარ-ოქტომბერში გაიზარდა 5,1%-ით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და შეადგინა 41 907,5 ტონა. სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2013 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში 3 688,3 ტონა ხორცის პროდუქტები (მათ შორის ძეხვი) დამზადდა ჩვენს ქვეყანაში, რაც 2,3%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. მხოლოდ 2013 წლის ოქტომბერში 11 200,8 ტონა ხორცი და 435,3 ტონა ხორცის პროდუქცია დამზადდა სომხეთის რესპუბლიკაში.
ერევანი, 7 დეკემბერი, ARMENPRESS

FAO სომხეთს 459 000 აშშ დოლარს გადასცემს ბოსტნეულის სათესლე მეურნეობებისთვის 2014 წელს
გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) გამოყოფს 459000 აშშ დოლარს სომხეთში ბოსტნეულის სათესლე მეურნეობების პროექტის ფარგლებში 2014 წელს, სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გარნიკ პეტროსიანმა განუცხადა რეპორტიორებს, რომ თანხები გამოყენებული იქნება თესლის შეგროვების და დამუშავების სამუშაოების ავტომატიზაციისთვის და, აქედან გამომდინარე, გაზრდის მოსავლიანობას, პროექტი სავარაუდოდ დაიწყება იანვრის ბოლოს - თებერვლის დასაწყისში 2014 წელს, განაცხადა მინისტრის მოადგილემ.
6 დეკემბერი. /ARKA/.

სომხეთში კარტოფილის წარმოება სავარაუდოდ 658 000 მეტრულ ტონას მიაღწევს
სომხეთის კარტოფილის მოსავალი ამ წელს დაახლოებით 658 000 ტონაა, ოდნავ მეტი, ვიდრე გასულ წელს, როდესაც ფერმერებმა მიიღეს 647 000 ტონა, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გარნიკ პეტროსიანმა პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, დაახლოებით 20000 ტონა კარტოფილი უკვე ექსპორტზეა გატანილი, მაშინ როდესაც 1 000 ტონა გაიყიდა 1 დეკემბრისთვის გასულ წელს. იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ ქვეყანაში კარტოფილის დეფიციტია ამ წელს, სომხეთის შეუძლია გაყიდოს ჭარბი მოსავალი ამ ქვეყნებში. სომხეთი კარტოფილის ექსპორტს აწარმოებს რუსეთში, საქართველოში, ირანში, ერაყში და თურქმენეთში. მან ასევე უარყო ინფორმაცია, რომ ბოსტნეულის მაღალი ფასი ადგილობრივ ბაზარზე გამოიწვია ექსპორტის ზრდამ. ამჟამად 1 კგ კარტოფილი ერევანში

იყიდება 140-200 დრამად. მინისტრმა განაცხადა, რომ ფასი არ არის მაღალი. მისი თქმით, წარსულში დაბალი ფასი ხშირად აიძულებდა ფერმერებს უარი ეთქვათ კარტოფილის მოყვანაზე. (1 აშშ დოლარი - 403,91 დრამი).
წყარო: arka.am